№ 36 ფებერვალი 14, პარასკევი. 1886 ფებერვალი 14, პარასკევი № 36

გაზეთი ღირს:

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ̃ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ოთხშაბათს, 19 ფებერვალს «ტფილისის კრუჟოკის» დარბაზში «ქართულის დრამატიულის საზოგადოების» სასარგებლოდ

იქნება გამართული:

## ბალი

**ბალი დაიწყება 9 საათზე**

ბილეთები ისყიდება: შავერდოვის პავილიონში, სტანისლავ ჩარახჩიანის მაღაზიაში და «კრუჟოკის» შვეიცართან.

ბილეთის ფასი ორი მანათია. მანდილოსანთ შეუძლიანთ დასწრონ გულამოუჭრელ კაბებითაც.

ტფილისი, 13 ფებერვალს

მეორე დიდი და ძლიერი სახელმწიფო ევროპაში ეგრედ წოდებული დიდი ბრიტანიაა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ინგლისი. ინგლისი, შოტლანდიით და ირლანდიით, ევროპისაგან მოწყვეტილი უშველებელი კუნძულია. იმისი შესავალი და გასავალი ოთხსავ კუთხივ ზღვა არის. ამისთანა მდებარეობამ ინგლისის საგარეო ისტორია ისე წარმართა, რომ ზღვით და ზღვებით უნდა ეცხოვრა. ამიტომაც როცა შინ ცოტაოდნად მაინც ფრთები შეისხა, მაშინვე საკოლონიო პოლიტიკას დაადგა. თუმცა აქ მოცილენი გაუჩნდნენ, მაგალითებრ, ისპანია, პორტუგალია და გოლლანდია და ამა მოცილეთა არა ერთხელ დაასწრეს ზღვის პირების დაჭერა აზიასა, აფრიკასა თუ ამერიკაში, მაგრამ ინგლისმა მაინც იმოდენა დიდი ლუკმა მოიგდო ხელში, რომ ზღვათა მფლობელად დღესაც სამართლიანად იწოდება. რასაკვირველია, ამ საკოლონიო პოლიტიკის სათავე კაცმა თავდაპირველ ინგლისის მდებარეობაში უნდა მონახოს, როგორც ზემოდ ვსთქვით, მაგრამ ერთიც სხვა მიზეზია, რომ ინგლისი ასეთის მხნეობით და ღვაწლით გარე ქვეყნებისაკენ იწევს და თითქო ბინას იკეთებს. მთელის ინგლისის ადგილ-მამული თითქმის მარტო 30,000 კაცს ეკუთვნის. დანარჩენი მთელი ერი უადგილ-მამულოა. ამისთანა უსამართლოდ განაწილებას ადგილ-მამულისას ერთი სხვა უბედურებაც ზედ მოჰყვა. როცა ჟამთა ვითარებისა გამო მატყლმა მეტად აიწია და დიდი ფასი დაიდო, ბევრმა ადგილ-მამულის პატრონმა საყანე, სახნავ-სათესი მამულები საძოვრებად გარდააქცია და აუარებელი მხვნელ-მთესველი ხალხი, რომელიც მაგ მამულებზედ ქირით თუ იჯარით ჰსცხოვრებდა, სულ ცარიელზედ დარჩა. აქედამ წარმოსდგა იგი შესაბრალისი ხალხი, რომელსაც საცხოვრებლად თვისი მარჯვენა-და აქვს და სხვა არაფერი და რომელსაც პროლეტარიატს ეძახიან. დასაწყისი ამ პროლეტარიატისა უმთავრესად ეს იყო და თქმა არ უნდა, რომ დროთა მიმავლობაში ამ მიზეზს სხვა მიზეზებიც დაემატა და პროლეტარიატობა გააძლიერა. თუმცა აუარებელმა მრეწველობამ, ფაბრიკებმა და ქარხნებმა, როგორც ღრუბელმა, შეიწოვა ეს უბინაო ხალხი, მაგრამ საკმაო იყო ერთს რომელსამე მრეწველობაში კრიზისი მომხდარიყო, როგორც ამერიკელების ომის დროს ბამბეულობათა ქარხნების კრიზისი, რომ დიდ-ძალი მშიერი და უბინაო მუშა-ხალხი ცის ანაბარას დარჩენილიყო. ეს ერთი. მეორეც ისა, რომ სიმრავლეს უმამულო მუშა ხალხისას ვერ აუვიდა ინგლისის ძლიერი და აუარებელი მრეწველობაცა. მრავალი მუშა-ხალხი უსაქმოდ ჰრჩება. ამის გამო წარმოუდგენელია ის სიღარიბე, ის სიღატაკე, ის განწირულება, რომელიც ასე გულ-საკლავად ჰფლადებს ინგლისის ყოველს დიდს ქალაქში და ნამეტნავად ლონდონში. ამ უშველებელს ბოღამს საწურავის ახდა უნდა, რომ გასვლის გზა მიეცეს, გავიდეს, თორემ როგორც ქვაბში მომწყვდეული ორთქლი ქვაბსაც გაჰხეთქს და გარშემოსაც მილეწ-მოლეწავს. ეს კარგად იცის საქმიანმა და ჭკვიანმა ინგლისელმა და ამიტომაც ეტანება სხვა ქვეყნებში დაიჭიროს ადგილები, რომ მეტი ხალხი გაიზიდოს ინგლისიდამ და ბინა ახლად დაჭერილს ქვეყნებში მოიკიდოს. ეს მეორე მიზეზი საკოლონიო პოლიტიკისა. მესამე მიზეზი კიდევ აუარებელი მრეწველობაა. დიდ-ძალს საქონელს ჰქმნის ინგლისი. ამ საქონელს გასაღება უნდა. ევროპა ვეღარ იტევს სიმრავლეს საქონლისას და ერთმანეთში გაძლიერებული ცილობაც ხელს უცრის. ვაჭრობის გზის გასახსნელად, საქონლის გასასაღებლად სხვა უფრო შორეული ქვეყნები-ღაა, ნამეტნავად ის ქვეყნები, რომელთაც ზღვა აქვთ შესავალად. ინდოეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები აზიაში, მთელი აფრიკა, სამხრეთი ამერიკისა და სხვანი სულ კაი ლუკმაა საქონლის აღებ-მიცემობისათვის. ბოლოს დროს ასე გაუჭირა საქმე სხვა სახელმწიფოებსაც ამ საქონლის უმუშტრობამ, რომ საფრანგეთმა, გერმანიამ და იტალიამაც კი საკოლონიო პოლიტიკას ჩაჰკიდეს მაგრად ხელი და ამ სახით ზღვათა მფლობელსა ინგლისს მოცილეთ გაუხდნენ.

ინგლისს ყველაზედ დიდი ადგილები უჭირავს ევროპის გარედ სხვა ქვეყნებში. ერთი უდიდესი მათგანი ინდოეთია. როგორც თავის ორის თვალის ჩინს, ისე უფთხილდება ინგლისი არამც თუ მარტო ამ დიდს ინდოეთს, არამედ სხვა კოლონიებსაც. ერთი საუკეთესო ზღვის გზა კოლონიებისაკენ საერთოდ და ინდოეთისაკენ საკუთრივ ხმელთა-შუა ზღვაზედ უდევს ინგლისსა, მეორე სუეზის დიდს არხზედ ეგვიპტეში. ამას ზედ დაუმატეთ, რომ ხმელთა-შუა ზღვის ნაპირები იტალიის მერმედ ოსმალოსა და ბერძნებს უჭირავთ, რომ ოსმალეთის ასეთი თუ ისეთი მფლობელობა ძლიერ დამოკიდებულია ბალკანიის ნახევარ-კუნძულის ავ-კარგიანობაზედ, საბერძნეთის ღონის მეტნაკლებობაზედ, ცხადი იქნება,—რას იტკივებს ხოლმე ინგლისი, როცა ეგრედ-წოდებული აღმოსავლეთის საქმე გატყვრება ევროპაში. აქედამ ისიც ცხადია, რისთვისაცა ჰღვრის იმოდენა სისხლს ეგვიპტის გამო, ჰღუპავს იმოდენა ფულსა და გარდა ამისა იმდურებს ეგვიპტის გამო საფრანგეთსაც. ავსტრიას რომ გლადსტონმა ერთხელ თითი დაუქნია და მრისხანედ დაუძახა: «ხელები უკანაო»—ამისი მიზეზი ის არის, რომ კუდიანი ავსტრია ჩუმ-ჩუმად მიცოცავს ადრიატიკის ზღვისაკენ, ამ ზღვით ჰსურს გზა გაიხსნას და ხმელთა-შუა ზღვაზედ გავიდეს. აბა ინგლისი ხელს რად შეუწყობს? რად მოინდომებს მეტი მეტოქე აიჩინოს იქ, საცა ეხლა თითქმის მარტო თვითონ ჰბატონობს.

ინდოეთისაკენ ხმელეთზედაც ერთი გზა მიდის, ხოლო ეს გზა რუსეთს უჭირავს. ეგრედ-წოდებული ავგანისტანის საქმე, რომელმაც შარშან ასეთი ალიაქოთი ასტეხა, სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ ინგლისს უნდა რუსეთს ეს გზა შეუკრას და ავგანისტანი წინ გადუღობოს, რადგანაც რუსეთსა და ინდოეთს შუა ავგანისტანია გადახარიხებული. ამიტომაც საქმე ისე გათავდა ინგლისსა და რუსეთს შორის, რომ ავგანისტანის და რუსეთის შუა მიჯნა დაიდვას, რომელსაც არც ერთი უნდა გადავიდეს და არც მეორე. ინგლისის გარეთი საქმეები ამაზედ ჰტრიალებს და ტკივილიც მაშინ გიუმწვავდება ხოლმე, როცა ისეთი ამბავი რამ გამოტყვრება, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, შორიდამ, თუ ახლოდამ, ამ საქმეებს შეეხება.

ი. ჭ-ა

## ახალი ამბავი

⁂ რაჭიდამ სწერენ გაზ. «Юрид. Обоз.»-ს, რომ დ. ონში ამას წინად გაქურდეს კერესელიძეს დუქანიო. ქურდებს საქონლისათვის ხელი არ უხლიათ და მხოლოდ ფული წაუღიათ, რომელიც მედუქნისათვის სხვებს მიებარებინათ შესანახად. მეორე დღეს ფული იპოვეს ერთს უწმინდურს ადგილს. ფულთან ერთად ეგ-

---

# ფელეტონი

## ფშაველები

(მათი სხვა-და-სხვა ჩვეულება, ცრუ-მორწმუნეობა და ხატები)

(შემდეგი *)

### პოეზია

### IV

ფშაველები პოეტიკური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას. რასაც ფშავლის თვალი და გონება მისწვდომია, იმას ყველაფერზედ უთქვამს ლექსი,—მოყოლებული სიცოცხლიდამ სიკვდილამდე და საიქიომდე. ფშაველების პოეზია გაიყოფება ორ ნაწილად—ძველისა და ახალის დროისა. ძველს ლექსებში არის გამოხატული ვაჟ-კაცობა, გმირობა და ზნეობრივი სიმაღლე. ძველს ლექსებში უფრო იდეალურობა გამოსჭვირს. ახალი ლექსები რეალურ გზას ადგანან და მათში ჰკვნესის სატირული ნაღველი; რეალური მიმართულება ახალის დროის ლექსებისა უწმაწურობამდე, ცინიკობამდე გადის. მაინც ხალხში სატირა იბადება, როდესაც ხალხის ცხოვრება იცვლება და ერთის წყობიდამ მეორეში გადადის. მოხუცებულები ემდურებიან ლექსების შინაარსის გამოცვლას, ჩვენს დროსო, ამბობენ ისინი, წაწლობისას და უწმაწურობისას არ იმღეროდნენო. ეს მართალია, მაგრამ რა ქნას ახალის დროის ფშაველმა, საგმირო საქმე აღარა აქვს და გულს იფხანს სხვა-და-სხვა საგნებზე შაირობით. ფშაურ ლექსებს აქვს მშვენიერი და მაღალი კილო, აქ ნიმუშად მოვიყვან რამდენსამე ლექსს.

**ძველი ლექსები:**

ვაი ჩემს ამ დროთ მოყრასა,
ჩემს ამის მოხილებასა,
ენას ჩამედვა ბორკილი,
თვალთ მიშლის ახილებასა,
ველარც ვის სიტყვას შაუქცევ,
ველარც ვის შაგინებასა.

**სიკვდილის სიმღერა**

სიკვდილმ სთქვა: ზღვიდამ წამოველ,
ზღვა ჩქეფით შემოვიარე,
შევკმაზე თავის ლურჯაი
ხმელეთ სუ შამოვიარე;
გადმაუხედენ ფშაველთა,
ყოდენ, როგორც იანი,
ჩაველირე და ვერ ჩაველ,
ხატი ჰყოლიყო ძრიალი:
შორს გზაზე ამომეგება
შავარდენ იყო მხრიანი.
გადმაუხედენ ხევსურთა,
შავნ იყვნენ, როგორც ქიანი,
ჩაველ და ისე ჩავთიბე,
როგორც ნალევმა 1) თივანი.
ბევრისა კარი დავსჯარე,
ბევრისაც ისევ მღე არი,
ბევრისა დედა ვატირე,
ბევრისა ცოლი თმიანი;
ბევრისა თოფი შავკიდე,—
სიათა, პირ-კომლიანი,
ბევრისა ხმალი დავაგდე,
ფრანგული ფხა-სისხლიანი,
ბევრის ქალისა გავწირე
კალათა ჩხირ-წინდიანი.

**ხმალზე**

ხმალს ნუ ჩახედავ, მოყმეო,
ხმალი მშიერა მგელია,
გაგიჯრის, გაგიხალიზებს,
ბოლოს საფლავის მთხრელია!

—

როსტომ სთქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა:
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სუ მუდამ დაღონებასა.

—

როსტომ სთქვა: ჭკვა დიაცისა
არც მომწონ, არც მეკეთება,
ვაჟ-კაცს დიაცის მიმყოლსა
სამარემც დაეკეთება,

=

სადაც კარგია კაი ყმა,
რაის კარგისა მქნელია,
წავალის მოჰკლავს ნადირსა,
ქალაში მწვადის მწველია;
დააძლებს ამხანაგებსა,
თავად მშიერა მგელია.

**ქალის დალოცვა**

დამასტესა 2) ვმკი ყანასა
ძნა მოდის ჯარი-ჯარასა,
წყალს არვინ გამომახდინა,
ცრემლი ჩამომდის ღვარასა.
გიორგი ბახტარის-შვილო,
შენამც შარჩები დედასა,
წყალსაც შენ გამამახდინე
შამისვი ცხენის გავასა.
აიქამც გაგემარჯვება,
სადაც ხმალ იქმენ ელვასა,
მოციქულობდენ ისარნი,
შუბნი იქნევდენ ენასა.

—

---

*) «ივერია» № 35, 1886 წ.

1) გაცვეთილი ცელი. (ავტ.)

2) სოფელია ფშავში. (ავტ.)

დო თურმე ძირის კბილი კაცისა და იმ კბილით მიიკვლიეს, ვინ იყო დუქნის გამქურდავი. დალაქსა ჰკითხეს და აღმოჩნდა, რომ იმ მოკლე ხანში იმას დუქნის ბიჭისთვის და ტუსაღების ყარაულისთვის მოეგლიჯა კბილი. რადგან კბილი დიდი იყო და ბიჭი კი პატარა, ექიმმა დარწმუნებით სთქვა, რომ ეს კბილი ყარაულისა არისო. შენი ყარაული შეჰკრეს და გაჰგზავნეს ქუთაისის საპყრობილეშიო.

⁂ გაზ. «Кавказъ»-ი სწერს, რომ ავლაბრის ვაჭრებისა და ჩარჩების საქციელი წრეს გადავიდაო. საბრალო იქ მოსაახლეები მათს ხელში არიან და როგორც იმათ უნდათ ისე მიჰყიდიან საქონელს, რა გვარი საქონელიც უნდათ იმას გაჰყიდიან, იმათთვის არც დამშლელი, არც ნირიაო. როდესაც ესრედ-წოდებულს კახეთის მეიდანზე სოფლელები ჩამოვლენ, მაშინვე წაავლებენ ზემოხსენებული ჩარჩები ხელს და თითქმის ძალითართმევენ 100 კვერცხს, მაგ., 1 მან. და ქათამს 25 კაპეიკათაო. შემდეგ იმათსავე თვალის წინ ერთი-ორადა ჰყიდიანო, და ყველა ეს ამბავი სავაჭრო პოლიციის ცხვირის წინა ხდებაო, რომელიც ხელსაც კი არ ანძრევს და არ ესარჩლება ჩვეულებრივს მყიდველებსაო.

⁂ იმავე გაზეთში სწერია: ყარსის მაზრაში 1884 წ. პური მოკრეფილა 2.535,000 ფუთი. ამ რიცხვიდგან 234,500 ფ. ხაზინას მიეცა, 450,000 ფ. მომავალის წლის დასათესად გადაიდვა და დანარჩენი 1.850,509 ფ. მცხოვრებლებთ გამოსაკვებავად იხმარესო. ყარსის მაზრაში მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს 172,900 სული, მაშასადამე ყოველს სულზედ ორთა- [illegible] 11 ფუთი პური დახარჯულაო.

⁂ «Новое Время» სწერს: გ. ნ. დუბროვინმა ჯერ ისევ 1871 წ. გამოსცა პირველი ტომი თავის ვრცელის თხზულებისა: ისტორია რუსების ომისა და მფლობელობისა კავკასიაში». ეს ტომი შესდგება სამის წიგნისგან. ამ წიგნებში აღწერილია საზოგადოდ კავკასია და მისი მკვიდრნი. ეხლა დაიბეჭდა მეორე, მესამე და მეოთხე ტომი: ბ-ნის დუბროვინის თხზულებისა. ამ ტომებში მოთხრობილია ისტორია რუსეთის ომისა და მფლობელობის დამყარებისა კავკასიაში, მოთხრობილია აგრეთვე, როგორ დამყარდა აქ თან-და-თან სამოქალამმართველობა და რა ადმინისტრატებური ცვლილებანი მოხდა ამ დამორჩილებულს ქვეყანაში 1782 წლიდამ 1811 წლამდე.

## ნაკვესი

ერთი ჩვენებური მასწავლებელი მოდიოდა თურმე რკინის გზით. სხვათა შორის მასთან ვაგონში მოდიოდა ერთი სოფლის დედა-კაცი. დაიწყეს ლაპარაკი და დედა-კაცმა ჰკითხა:

— ყმაწვილო, რა ხელობისა ბრძანდებითო?

— მე დედი, ჭკუას გარიგებო, იოხუჯა თურმე მასწავლებელმა.

— კიდეც იმიტომ შენ თვითონ ეგრე ცოტა-და დაგრჩენიაო, მოუჭრა დედა-კაცმა სიტყვა უალაგოდ ოხუჯსა.

ს—

## ქართული თეატრი

წარსულს ოთხშაბათს ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოთ ქართ. დრამატ. დასმა წარმოადგინა ავ. ცაგარლის ოთხ მოქმედ. კომედია «ხანუმა» და ილია ჭავჭავაძის სცენა—პოემა «დედა და შვილი».—სანამ თამაშობაზე ვიტყოდეთ რასმე სჯობს წინედ პიესებზე ვსთქვათ რამე, ა. ცაგარელს დიდი ნიჭი არა აქვს, მაგრამ არც უნიჭოა და ჯერ-ჯერობით ჩვენს თითქმის ცარიელს დრამის მოედანზედ პირველი ადგილი უჭირავს. არ ვიცით დიდხანს შეირჩენს ბ. ცაგარელი ამ პირველობას, ხოლო თუ არა-უნიჭო დრამატურღმა იმ გზით განაგრძო სიარული, რა გზითაც აქამდინ მიდიოდა—ჩვენ გვგონია, რომ მარტო აღარ დარჩება.

ავ. ცაგარელი აღზრდილია და ეკუთვნის კიდეც იმ დრამატურღების სკოლას, რომელმაც პირველად დაჰბადა ჩვენში ეროვნული სცენა და დრამატიული ხელოვნება. საზოგადოდ გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის გავლენა და განსაკუთრებით ბ. სუნდუკიანცის ზედმოქმედება მრიელ ეტყობა ჩვენს ახალგაზდა დრამატურღს. ყოველს მწერალს თავის მიმართულება, სიმპატია და ანტიპატია, ენა, კილო, თავისებური სიტყვების და აზრების გამოხატვის საშუალება, თავისი სფერა აქვს,—მოკლედ რომ ვსთქვათ, ყოველს მწერალს გარდა საყოველთაო ქვეყნისა, კიდევ კერძო, საკუთარი ქვეყანა აქვს. ჯერ-ჯერობით ავ. ცაგარელს თავის ქვეყანა არ მოუპოვებია—და ბ. სუნდუკიანცის ქვეყანაში შინაურულად დაიარება. ამაში მკითხველი აშკარად დარწმუნდება, თუ ბ. სუნდუკიანცის «პეპოს»—«ხათაბალას», «დაქცეულს ოჯახს» და სხვას მოიგონებს. საქმე ის არის, რომ დიდ-მუცლიანი ხელ-მოჭერილი ვაჭრები, დარდიმანდი ბიჭები, დიდი-დედანი და ბებიები, მამალ-მამალი კინტოები, მაჭანკლები და კიდევ ბევრი სხვა სუნდუკიანცის საყვარელი ტიპები, საკვირველის ახლო ნათესაობით დაკავშირებულნი არიან ბ. ცაგარლის მოქმედ პირებთან. ჩვენ ამით როდი გვინდა ვსთქვათ, რომ ბ. ცაგარელი თვით-მყოფი (самостоятельный) მწერალი არ იყვეს. არა, ჩვენ მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირველის გავლენა მეორეზედ ჭარბათ არის. ვიმეორებთ, ამით კიდევ არა მტკიცდება, რომ ავ. ცაგარელი ბ. სუნდუკიანცზედ სამერმისოდ, ან ეხლაც დაბლა იდგეს. ჩვენ რომ კარგად დავაკვირდეთ საგანს, აშკარად დავინახავთ რომ ხსენებული გავლენა, მიმბაძველობა თვითონ ადამიანის ბუნებაშია ჩანერგილი. საზოგადოდ ყველა კაცი და კერძოდ ყოველი ჯერ-ჯერობით შეუმუშავებელი ნიჭი სხვის გავლენას ყოველთვის ადვილად ემორჩილება ხოლმე. თვით მარად უკვდავი შექსპირი ერთს დროს გამოჩენილი მარლოოს გავლენის ქვეშ იყო და შილლერი კი დიდს ხანს იყო მომწყვდეული ლესინგის ზედ-მოქმედების ქვეშ. ვიმეორებთ, რომ თავ-და-პირველ გავლენა არც ერთს ნიჭს არ ასცდენია და აქ ვისმესთვის საწყენარი და გულსახეთქი არაფერი არ უნდა იყოს.

აქამდე ცაგარლის ნიჭი არ შეჰხებია ისეთს საგნებს და მოვლენას, რომლიდამაც ნათლად აღმოჩნდება ხოლმე ნიჭის ღირსებაც და ნაკლიც. პატივცემულის მწერლის ნიჭი მუდამ ოხუნჯობს, მუდამ ცელქობს და ყმაწვილურ ლაზღანდარობაში მეტად დიდს დროს ატარებს. ა. ცაგარელს ოხუნჯობაში და მოსწრებულ სიტყვებში დღეს ტოლი არა ჰყავს და სწორედ ამაშია მისი ძლიერება. თუ ეს სიძლიერე უფრო აუმღვრებს, უფრო ასუსტებს მის კომედიებს—მიზეზი ამისა ის არის, რომ შექსპირისა არ იყვეს, «თავ-დაუჭერელ კაცის ხელში მახვილი დანაც ჩლუნგდებაო»! ა. ცაგარელმა არ იცის სრულებით ზომა და ეგ უზომოება ხშირად კადნიერებამდის მიდის. მისი მოქმედნი პირნი ყველანი—დიდი, პატარა, ქალი და კაცი სულ მოსწრებულ სიტყვასა და ოხუნჯობაზედ არიან შეშლილნი—ა. ცაგარლის კომედიებში პირველი ადგილი მხოლოდ გადაჭარბებულს ოხუნჯობას უჭირავს და ავტორი ყოველისფერს ამას ანაცვალებს ხოლმე: სინამდვილეს, ესტეტიკას, მაყურებელთ მოთმინებას და თავის სახელსაც.—აი, ჩვენის აზრით, ეს არის ბ. ცაგარლის ნაკლი, რომლის გასწორება ისე ადვილი არის, როგორც ქუდის მოხდა, სანამ კიდევ დრო აქვს, თორემ მერე ჩვეულებად გადაქცეული, რჯულით უმტკიცესად გაუხდება.

მართალია, ჩვენს ხალხს, საზოგადოდ მდაბიოს—მოქალაქენი, და განსაკუთრებით კინტოები მეტად სიტყვა მოსწრებულნი არიან, მაგრამ არც ისე უნდა, როგორც ცაგარელი სჩადის. კომედიაში უნდა იყვეს კომიზმი თვითონ მოქმედებაში და არა სიტყვებში—მაშინ კომედიას თავისი ფასი ექნება, თორემ ცაგარლის კომედიები ვოდევილად და ფარსად ხდებიან, მისი ტიპები და ხასიათები—კარრიკატურად და მასხრებად. ნამდვილის კომედიისაგან გამოწვეული სიცილი ყოველთვის ნაღვლიანია. ერთის სიტყვით, ჩვენის აზრით, კომედია მაშინ არის კარგი და ღირსი თავის დანიშნულებისა, როდესაც მისგან მიღებული სიამოვნება განსპეტაკებულია მართალის ზნეობრივის აზრით, როდესაც სიცილი ბიწიერებას ჰგმირავს და ხასიათები ცუდისა და უზნეო საქციელისაგან გვაფრთხილებენ. ჯერ-ჯერობით კი ცაგარლის კომედიები არ ეთანხმებიან ჩვენს დედა-აზრს.

რაც შეეხება მოთამაშეთ, ყველანი მადლობის ღირსნი არიან—და განსაკუთრებით ნ. გაბუნია-ცაგარლისა. ამ მაღალ ნიჭიერ არტისტ-ქალს ტოლი არა ჰყავს და, ჩვენდა სამწუხაროდ, კიდევ დიდი დრო გაივლის ვიდრე მემკვიდრე აღმოუჩნდება. თუ მართლა არტისტის ხელოვნებას შეიძლება დავარქვათ განხორციელების ხელოვნება, მაშინ ნ. გაბუნია-ცაგარლისა სრული არტისტი უნდა იყვეს. და მართლაც რა არის არტისტის ხელოვნება, თუ არ განხორციელება იმ გნებათა, აზრთა და ხასიათთა, რომლებსაც აძლევს მას დრამატურღი?.. მაყურებელს ავიწყდება, რომ გაბუნიას ქალი სდგას მის წინ, თუ მართლა ხარფუხელი მაჭანკალი ხანუმა. მართალია, ნ. გაბუნია-ცაგარლისას დიდი რეპერტუარი არა აქვს, მაგრამ რაც აქვს ის ისე სრული და ხელოვნურია, რომ მეტის სურვილი უსამართლობა და გადაჭარბება იქნებოდა.

ძალიან კარგად თამაშობდა ვ. აბაშიძე აკოფას როლს. ეგ პატივცემული არტისტი მხოლოდ სცენაზედ სცოცხლობს. აქ მას ყველაფერი ავიწყდება—იგი მხოლოდ აკოფაა: იმის სიცოცხლით სცხოვრებს, იმისი ძარღვი უცემს, იმის დარდი და შიში აწუხებს—იმის დარდიმანდობა და იმისი «ოინები» ახარებენ მას... სონას როლი მ. საფ.-აბაშიძემ დიდის ჭკუით და ნიჭით შეასრულა. არ იყვნენ ურიგონი და-ძმანი მძინაროვები—პირველი ორს როლს ასრულებდა. მოხევე ვერაფერი თავადიშვილი იყო და არც როლი ჰქონდა შესწავლული, მაგ., უკანასკნელს მოქმედებაში იმის მაგივრად, რომ ეთქვა: «ჩემი ქონება თქვენთვის დამილოცნიაო»; მოხევემ ჰსთქვა, თქვენთვის დამიკოცნიაო, რომელმაც საზოგადოებაში სიცილი გამოიწვია. ქ. ანდრონიკოვისას გაბა კიდევ დაჰმოკლებია.—საზოგადოდ პიესამ კარგად ჩაიარა, თუმცა ურეპეტიციობა საშინლად ამახინჯებდა ზოგიერთ ადგილებს. ტყუილად ჰგონებია თეატრის გამგეს, რომ პიესა ბევრჯერ ნათამაშია და ურეპეტიციოთ იოლად წავალთო. ისე არაფერი არ ამახინჯებს პიესას და ხელოვნურ თამაშობას, როგორც ურეპეტიციობა. მაგალითად, მეორე მოქმედებაში ვ. აბაშიძეს დაავიწყდა რომ ხანუმა კარებში უნდა დაეჭირა და ამის მაგიერ სცენაზედ რაღაც სხვა ეკსპრომტს ამბობდა; მერე როგორც იყო ნ. გაბუნიას მეცადინეობით არტისტი მიხვდა, თავის შეცდომას და ნ. გაბუნიას კარებში კარგა ხნის ლოდინის შემდეგ—ვითომ დაიჭირა! წარსულ ოთხშაბათს ბევრი მაგისთანა «შეცდომები» მოხდა; მიზეზი როგორც ზემოდ ვსთქვით—ურეპეტიციობა იყო.

ბოლოს წარმოადგინეს ილია ჭავჭავაძის «დედა და შვილი». ეგ სცენა—პოემა დაწერილია მხოლოდ საკითხავად და არა სასცენოდ. ყველა ღირს-შესამჩნევი, გულ ამამღვრეველი და სულის ამშფოთებელი სიტყვები პოემისა დაიკარგნენ. ნ. გაბუნია-ცაგარლისა ზოგიერთ ადგილებში საუცხოვო იყო—უფრო

---

მე სოფლის თავსა ვესახლე
და არ სოფელი ჩემს თავსა,
სოფელი კარგა მთავსობდა,
თუ მე სოფელი მეთავსა.
რაც მე სოფლისად მინდოდა
წინ-წინ მოვიდა ჩემს თავსა.

—

თუ მკითხავ, კიდეც გიამბობ
ჩემსა და ლომისისასა:
აიქ სამ შავიყარენით
საბრუნსა, სამუხისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თათუხისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი კახეთისასა;
ცოლი მთხოვა და ვერ მივე,
მიმყვანდა სიდედრისასა.
ადგა და ხელი გააბა
ნაჭაპნსა გიშრის თმისასა,
ამოტირდა და ამოთქვა:
«ვაი ცოლს ცუდის ყმისასა!»
შამრცხვა და ხელი გავიკარ
ნაჩუქარს ცოლის ძმისასა,
უწინ იმანავ დამასწვრა,
ელვასა ჰგვანდა ცისასა.
ახლა მე გადავუქნიე,
რისხვასა გვანდა ღვთისასა.
სუკსა ვეც, გულსა ეწია,
წვერი უწვდინა ქვიშასა.

—

ცოლსა ნუ ხელავ, ვაჟაო,
თავს უკეთესის ყმისასა,
გაიგებს, გაგიჯავრდება,
ვადას მაჰზიდნებს ხმლისასა.

—

ეღუმ, შე თულუმიშვილო,
ვეფხვი ხარ, ველის არგანი;
შენ მაჰკალ ერისთვი-შვილი,
გულზედ შენ დაეც ხანჯარი[1]). ფ სხ.

—

დამასტეს ხენი აყოვდეს,
განძირად ერთის ხისანი,
კინაღ არ გამირისხდესა
თვალნი ზეითის ღვთისანი.
შასახვევნელად მამინდეს,
მკლავნი თუ იყვნენ დისანი.
არ დამფარვიდენ მიწანი
ბარისანი და მთისანი,
ცრემლნი არ მეღირსებოდეს
ქალისანი და რძლისანი.

—

ქალს ნუ ჰკვლევ ჯვარობაშია,
ტანზედ ნათხოვი აცვია,
ქალი თუ გინდა ლამაზი,
დაჰკვლიე ქერის მკაშია.

—

ჩამორბის კოკლაის გორსა,
თვალ-შურთხო, შენი ქმარიო,
მისცენით ბეჭ-სახეხავნი,
გააწკრიალოს ტარიო,
საბურეს ჩარდახ აუგეთ,
გააზდეინეთ ქალიო.

### ხოხობზედ

შატილს [2]) მოიდა ხოხობი,
გულ-დიდად დაჯდა ჯარზედა,
შვიდნი მოზარდნა წიწილნი
არწივის ნაბუდარზედა;
შვიდ-თავ ფრანგულებ უყიდა,
შვიდ-თავ შააბა ტანზედა,
შვიდ-თავ ხირიმებ უყიდა,
დაჰკიდა შვიდსავ მხარზედა,
საფშაოდ გამაისტუმრა,—
შვილნო, მშვიდობით გზაზედა.
ახადს, გოდერძის ციხეი,
მოგიხდენ თენებაზედა,
ცოტა ხან როგორ არ გასძელ,
ქვამც ნუ გდებია ქვაზედა;
იქით ქალ გამაიყვანეს,
მაჰყავთ, მოსტირის გზაზედა.
შამახვდა თხის ტყავიანი
ამბავი ჰკითხა ჰკვაზედა:
«—ე ქალ საითღა მოგყავისთ,
ცრემლ რო ჩამოსდის თვალზედა.»
«—ე ქალ ახადით მოგვყავის,
შატილს ჩამოვსვამთ ჯარზედა;
მაგის საქმარეც აქა გვყავ,
გაზდილი ალვის ტანზედა.
«— ვაჰმე, რა ონა გიქნავისთ
ლაშარის ჯვარის ყმაზედა!
თუ თქვენ ეგ წაგაყვანინოთ
წვერიმც ნუ მსხია ყბაზედა,
შინამც თუ მივალ ცოცხალი,
სწორნიმც ნუ დამსმენ ჯარზედა.»
შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა
გაიკრეს ხელი ხმალზედა.
შამეეტია ფშაველი
შვიდ-თავ თავ მასჭრა წამზედა,
შვიდსავ მარჯვენა ააჭრა
ერთის ამლათის ხანზედა,
შვიდსავ იარაღ აჰყარა
სუ ქალს აასხა ტანზედა:
ქალი შინ გამააბრუნა,
მამას მაჰგვარა კარზედა,
წაიღე მარჯვენეები
ციხეს მიაკარ თავზედა;
ჩემს ნაქნარს სახელს ნუ იტყვი
ვიქნოდეთ და-ძმობაზედა,
შინამდე გამოგყვებოდი,
მოსისხლენი მყვან გზაზედა.
შვილნი შინ ველარ მოგივლენ,
დარჩნენ მათურის მთაზედა,
დახოცნა თადიასურმა
ერთის ამლათის ხანზედა,
ლუდი ადუღე, ხოხობო,

---

[1]) აქ იგულისხმება ზურაბი.

[2]) სოფელი ქისტეთში.

სუსტად სიკვდილი მოუვიდა. გ. მესხიევი სრულებით არ გარგოდა. არც სმა, არც მიხვრა-მოხვრა უვარგოდა კიაზოსთვის. დივერტისმენტად ქ. ანდრონიკოვისამ ხელოვნურად შეასრულა «სიყვარულო, რა გრძნობა ხარ»!.. ხალხი ბლომათ დასწრო. ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისას მიართვეს გვირგვინის პრიბორი—ოქროთ დაფერილი. ხალხმა დუდუკით გააცილა.

ვალიკო—ია

# დამაკვირდი!

ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,— ბედ-კრულნი კი მას სიხარულით მიეგებიან. (შექსპირი)

⁂

ჭეშმარიტი ამპარტავნება უფრო ადვილად აიტანს წყენას, ვიდრე მოწყალებასა. (ბუასტი)

⁂

ყოველ სხვა ღირსებას მოკლებულია იგი ქალი, რომელიც თავს იწონებს მარტო იმით, რომ ლამაზი ვარო.

⁂

ლამაზი ქალი თვალს მოსწონს, კეთილი—გულსა. პირველი—ლამაზი ნივთია, მეორე—საუნჯეა. (ბონაპარტი)

⁂

ქალი თავს მოიკლავდა, რომ ბუნებას ისე შექმნა, როგორადაც მოდა ჰქმნის. (ბუასტი)

⁂

უქალოდ განთიადი და მწუხრი ადამიანის ცხოვრებისა უმწეო იქნებოდა და შუა-დღე უსიხარულო. (ბუასტი)

⁂

გონჯაის გული ჰსივდების
კვეხნითა, ქადილითაო;
გაუწირდება, გამოჰქრბის
დიაცის მანდილითაო.
(გლეხთაგან თქმული)

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ლონდონში ხალხის არეულობას ძალიან გაუხარებია საფრანგეთის გაზეთები. მეტადრე რესპუბლიკელების გაზეთები ნიშნს უგებენ ინგლისს. მაშ არც მონარქიულ ინგლისს ჰქონია რესპუბლიკალურს საფრანგეთზედ მეტი ძალაო, რომ სოციალისტებისა და რევოლიუციონერებისთვის თავი შეეკავებინაო. ამისთანა ნემენცურს გაზეთს «*Allgemeine Zeitung*»-ში მოყვანილია ფრანგულის გაზეთის «*Paris*»-ს სიტყვები:

> ჯერ ერთის არეულობის ამბავი არ ჩაჩუმებულიყო და მიმწყდარიყო ლონდონში, რომ მეორემ უფრო დიდმა არეულობამ თავი ამოჰყო. ტყუილი-ღაა ამის შემდეგ, თავი მოვიწონოთ იმითი რომ ეს და ეს ქალაქი სამეფო და, თუ გინდ კიდევ, საიმპერატორო დედა-ქალაქად იწოდებაო, თუ ამ ქალაქის საზარელმა არეულობამ თვითონ რესპუბლიკურს დედა-ქალაქს გადააჭარბა. ჩვენში გონება გატაცებულმა ლუიზა მიშელმა პატარა არეულობა მოახდინა; ეს არეულობა ბევრმა გააზვიადა, და მთელს პარიჟს თითქმის დიდს რევოლიუციას უქადდნენ, თუმცა ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში ამისთანა ამბავი არ მომხდარა და ეს ერთად ერთიც იმითი გათავდა, რომ მეპურეს დუქანი აიკლეს. ლონდონელ მეამბოხეთ უფრო მეტი შნოა ჰქონდათ; ას დუქანზე მეტი სრულიად აუკლიათ და საყურადღებო უფრო ის არის, რომ უმეტეს ნაწილად ძვირფასის საქონლის დუქნები ურბევიათ.» «სიკვდილი მპარველთაო.» გაიძახოდნენ პარიჟში არეულობის დროს; ინგლისის მეამბოხეთ კი უყვირნიათ: «სიკვდილი სახელმწიფოსიო». ესეც ლონდონის ახლად შემოღებული სიტყვა. ეხლა მაინც შეჰრცხვება ინგლისს და ისე ამაყად აღარ გაიძახებს, როგორც შარშან, რომ პარიჟია ბიწიერების ბუდეო, თორემ ლონდონი ყოველთვის მტკიცედ იცავდა კანონიერებასაო.

⁂

ნემენცურს ჟურნალში *Magazin furdie Litteratur In-und Auslandes* ჰსწერია, რომ ბ-ნ ა. ფონ-სუტტნერს დაუბეჭდია ცალკე წიგნად თავისი მოთხრობა სამეგრელოს ცხოვრებიდამ სახელად: «დარეჯანი» («*Daredjan*»). ამ წიგნის გამო ზემო-ხსენებულს ჟურნალში ბ-ნს ლავენტალს შემდეგი აზრი გამოუთქვამს:

> «დიდი ხანია გული დავაჯერე, რომ სამუდამოდ გამიქრნენ-მეთქი ყოველნი ის სურათნი, რომელნიც ოდესღაც საუცხოვო და საოცარის ფერებით ჩემთა თვალთა წინ ბრწყინვალებდნენ—და აჰა ეხლა ამ ჩემის მოხუცების დროს კვლავ წარმომიდგნენ მთელის თავისის მომხიბლავის მშვენიერებითა! ბაგენი ჩემნი ჰგალობენ ნელად და წყნარად ქართულს სიმღერას და გული ჩემი სიხარულით ბანს აძლევს. დიაღ, წავიკითხე თუ არა «დარეჯანი», ყოველივე, რაც მენახა და გამომევლო საქართველოში, თვალწინ დამიდგა. «დარეჯანი» იმოდენად მართალი და ცხოველი გამომხატველია იქაურის ცხოვრებისა, ადამიანის სულისა და გულის მოძრაობისა, რომ ყოველი კაცი დიდს სიამოვნებას განიცდის. ხოლო კაცს უნდა ენახოს იქაურობა, რომ ღირსებისა მებრ დააფასოს ხელოვნება ავტორისა, რომელიც მცირეოდენ ფურცლებზე გვიხატავს სრულს სურათს ბუნებისას, ადამიანისას, ჩვეულებისას, ზნისას, შენობისას და სხვა ამგვარებისას. «დარეჯანის» სვე-ბედი უბედურებით სავსეა. ჯერ შეჰხვედრია ოსის თავადსა, მერე ფრანგს მხატვარსა და ბოლოს დიდის თანამდებობის პატრონს ქართველსა. ბევრი ჭირი და გადასავალი გადაჰხდია და დასასრულ ბიწიერების სხვერპლად გამხდარა. მისის სვე-ბედის ისტორია ლამაზად არის ნაამბობი, განმართლებული და და მეტის-მეტად საინტერესოა».

⁂

გამოჩენილი სომხურის და სომხების მცოდნე გატტეირიასი, როგორცა ჰსჩანს მის წიგნიდამ «*L'Armenie et les Armeniens*», ქართულს ენასაც ეწყობა. ქართულის ენის შესახებ რამდენისამე წლის წინად დაუბეჭდია ზოგიერთი წერილები ჟურნალში «*Revue de Linguistique*».

⁂

ღმერთმა ყოველი მხარე დაიფაროს იმ უმწვერვალეს სიღარიბისაგან, რა სიღარიბეშიაც ყაზანის გუბერნია ჩავარდნილა ამ უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში მოუსავლობისა და სხვა-და-სხვა ჭირისა გამო. საერო-საგუბერნიო კომისიას გამოუკვლევია გაჭირვებული მდგომარეობა ყაზანის გუბერნიისა და აღმოჩენილა, რომ სასურსათო თანხისა გუბერნიის გლეხ-კაცობას წარსულის წლის 1 სექტემბერს ხუთ მილიონამდე ვალი დასდებია. და ამა წლის 1 იანვარს სახემწიფო გადასახადი ჰქონია ვალად დარჩენილი 4 მილიონამდე. ყაზანელი კორრესპონდენტი გაზ. «Русскія Вѣдомости»-ებისა ამბობს, რომ

> თუმცა შარშან რიგიანი მოსავალი იყო, მაინც წელსაც 12 უეზდმა საგუბერნიო სასურსათო თანხიდამ ითხოვა სესხად 149 ათასი მანათი და საგუბერნიო საერო კრებამ კი 95 ათას მანათზე მეტი ვერ მისცაო. შარშან წინ ისე იყო გავრცელებული საქონლის ჭირი, რომ მასთან ბრძოლისათვის ერობამ 170 ათასი მანათი დახარჯაო, ცეცხლისაგან 216 ათასი მან. იზარალაო. ყველა ამ უბედურებამ სრულიად გაალატაკა ჩვენის გუბერნიის მკვიდრნიო.

კორრესპონდენტი ამბობს, რომ ამ გაჭირებულს მდგომარეობას მთავრობამ მიაქცია ყურადღება და სხვა ახალი წესი დაადგინა, რომლის ძალითაც უნდა გაადვილებოდა გლეხ-კაცობას, როგორც სახელმწიფოს საზოგადო-სასურსათო თანხის ვალის გადახდა, ისე შეტანა დარჩენილ სახელმწიფო გადასახადისაო.

> კომისიამ თვალ-ნათლად დაინახა, განაგრძობს კორრესპონდენტი—ასეთი მდგომარეობა და გადასწყვიტა, რომ უმწვერვალესი ღონე უნდა ვიხმაროთ ამ მდგომარეობის განკარგებისათვის. აი პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა დაეწყო მუშაობა კომისიას ამ საქმის შესასრულებლად. ა) ღონისძიებათა მოპოვება სიღატაკის მოსასპობად: 1) დაარსება სამეურნეო კრედიტისა: წესდება სასოფლო ბანკებისა. გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობანი. გამსესხებელ-შემნახველი კასა სამამასახლისოში. სესხის გაცემა პურის დაგირავებით (პურის ბანკები). მამულის განკარგების (მელიორებური) კრედიტი. სოლო ვექსელები. სათავად-აზნაურო ბანკი (იმ მიწად-მფლობელთათვის, რომელთა მდგომარებაც გაჭირვებულია მოუსავლობის გამოვე). 2) გავრცელება გლეხთა-მიწად-მფლობელობისა. საადგილ-მამულო ბანკი გლეხთათვის. გახიზვნის საქმე. სახელმწიფო და საერო გადასახადის საქმე. 3) საკომლო გადასადის საქმე და შესყიდვა საკომლო მიწისა სახელმწიფო გლეხთა-მიერ. რა წესით უნდა იქმნას გადახდილი სახელმწიფო და საერო გადასახადი. 4) ხვნა-თესვისა, საქონლისა და ცხენების მოშენება. საუკეთესო თესლის მოპოვება. წვრილ-წვრილად არაყის გამოხდის საქმე. საუკეთესო იარაღნი ხვნა-თესვისა. გავრცელება მეურნეობის საქმის ცოდნისა. 5) ხალხოსნობის განკარგება. გამოფენა ხალხოსნობის ნაწარმოებისა. მუზეუმი. დახმარება ამხანაგობითა (არტელი) დასაარსებლად. 6) რა რიგით უნდა ისყიდებოდეს პური თუ შინ გუბერნიაში, თუ გუბერნიის გარედ. 7) რა ზედ-მოქმედება აქვს საერთო მიწის-მფლობელობას და ურთი-ერთობრივს თავდებობას მეურნეობაზედ. 8) რა ღონეა ლოთობის წინაალმდეგ. რა ზედ-მოქმედება აქვს ლოთობაზე ახალი წესებს სასმელთ გაჭრობისას.

ამის შემდეგ იწყობა მეორე რიგი ღონისძიებათა, რომელთა შემწეობით უნდა განკარგდეს საქმე გუბერნიის გამოკვებისა. აქ მოხსენებულია საზოგადოდ სესხის საქმეც, ზღვევისაც, ეგრედ-წოდებულის საერთოდ ხვნა-თესვისაც (общественныя запашки), მოწყალებისა და ქველ-მოქმედობის საქმეც და მებრვე სჭვანი სასიკეთო დაწყობილებათა საქმენი.

თუმცა ყოველივე ეს ჯერ თქმაა, მაგრამ ყოველი ჭეშმარიტი და გულ-შემატკივარი მამულის შვილი უნდა ნატრულობდეს ამის განხორციელებას.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** ოსმალეთი ამ ბოლოს დროს დიდს სიმხნევეს იჩენს ლოდინი, სხვას ყურება და ყურის გდება მოსწყინდა. ოსმალეთს გარდაუწყვეტია, საბერძნეთს ომი გაუმართოს. რუმელიიდამ ჯარი საბერძნეთის საზღვრებზე გადაჰყავს. ოსმალეთი ცდილობს საბერძნეთს დაასწროს და თავის ჯარები მაკედონიაში ჩქარა შეიყვანოს, რადგანაც კარგად იცის, რომ თუ საბერძნეთის ჯარები ოსმალეთზე ადრე შემოვიდნენ მაკედონიაში და თესალიაში, ამ პროვინციებში მაშინვე ამბოხება ასტყდება ოსმალეთის წინააღმდეგ.—ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ოსმალეთისთვის გალაშქრების პლანი საბერძნეთის წინააღმდეგ შეუდგენია ნემენცის გენერალს გოლცი-ფაშას, რომელიც ოსმალეთის სამსახურშია. ეს გენერალი ურჩევს თურმე ოსმალებს, პირ-და-პირ ათინაზე მივიდეს და შერიგება შეუკვეთოს. ამ გვარად სამუდამოდ ჩააჩუმოს საბერძნეთი და მოსპოს მისი დავა.

ეგვიპტეშიაც ოსმალები დიდს ფხას იჩენენ. გამოჩენილი სარდალი მუხთარ-ფაშა თურმე კარგი ხერხიანი და გონიერი დიპლომატიც ყოფილა. ინგლისმა თავის საუბედუროთ გადიკიდა ეს ჭირი და ეხლა აღარ იცის თავიდამ როგორღა მოიშოროს. ინგლისმა თვითონ ურჩია ოსმალეთს ეგვიპტეში აწეწილი საქმეების წესში მოსაყვანად მუხთარ-ფაშა დაენიშნა და ეხლა კი თვითონვე ცდილობს, მუხთარ-ფაშა ეგვიპტეს როგორმე მოაშოროს, რადგანაც ინგლისელებს ამ ფაშის მოქმედება არაფრად მოსწონთ. მაგრამ მუხთარ-ფაშა სრულიადაც არ ფიქრობს ეგვიპტის თავის დანებებას; იგი ძალიან მადრიელია, რომ აქ არის. უფლება დიდი აქვს მინიჭებული და მოვალეობა კი თითქმის არაფერი, და აი რაც ძალა და ღონე აქვს ინგლისის დიპლომატიას ხელს უშლის და აღელვებულ სუდანე-

---

შველთ რიგი უყავ თავზედა,
ბოროტის გამწარებულმა
გული დასცოდი ქვაზედა.

### ახალი ლექსები.

ფშავში მოლექსეები ბევრნი არიან, მაგრამ მათში პირველი ადგილი უჭირავს მერცხალას და ჯაბანს. მერცხალას სახელად გამიხარდი ჰქვიან, მაგრამ ამ სახელს არა სჯერდება და მერცხალას ეძახის თავის-თავს,—ეს იმის პსევდონიმი გახლავსთ. აი რას იმღერის მერცხალა თავის-თავზე:

«მკითხავებს დაუბარებავ:
«ციება გიდგა ტანშია!»
ვაჰმე, თუ დაწევს მერცხალი,—
კაცი ცხელ თიბა-მკაშია,
იმდენი მყავის დუშმანი,
რო თმა არ მიდგა თავშია;
ნეტავი საით შამყარა,
ერთ უკვდავება მასმია,
გამთეთრებიყო თმა-წვერი
ამ წუთის ქვეყანაშია».

### მამასახლისზე:

ელიზბარ შამამეყარა—
მამასახლისი დიდ-კაცი,
დედ-მამა შემამაგინა,
სანამ ამბავსა ვკითხავდი;
ჩამასცვივნიყო კბილები,
ცისკ წასვლიყო ნიკაპი და სხვ.

### ისევ მამასახლისზე:

მოხველ—ა მამასახლისო,
კი მამერგოა ბეგარა?
თუ ჩემ დარბევა გინდოდა,
გზირ მაინც წამოგეყვანა.
ნეტა ვინ მომცა პრიჩკაი *)
შენთვი ცეცხლ შამამეყარა,
შენთვი დამეწვა წვერ-პირი,
ჯავრი მით ამომეყარა.
ძნელი ხარ, სიღარიბეო,
გამაბეჩავე, ტიალო?
მეორ, მესამე წელ მიდის,
ერთ ახალოხნი მცვიანო,
შიგ მამიკრუხდა ტილები,
წიწილეებსა ზრდიანო,
გამოილენ სასეიროდა,
ადიან-ჩამოდიანო.

### საჭმელ-სასმელი.

ფშაველს უყვარს კარგი სმა-ჭამა. საუკეთესო მისი საჭმელი არის ხინკალი. კვირაში ერთხელ მაინცა სჭამს ერბოიანს საჭმელს; ხოჭოერბოს, ხავიწას და ხორცის ქადას. ერბოს ქადას საფლავზედ მისატანად გამოაცხობს დედა-კაცი. შემოდგომაზედ ფშაველი, თუ მეტი-მეტად ღატაკი არ არის, ჰშოულობს ხორცს ძროხისას, ან ცხვრისას და ინახავს საზამთროდ ქილაში ან ტაგანში; ხორცი მჟავდება, მაგრამ ამით ფშაველი არ იწუნებს. ფშაველი ათასში ერთის გარდა, ერიდება ღორის ხორცს;—«ხატი არ მიხდენსო». სამარხო საჭმელს შეადგენს ნივრის ან ნიგვზის ხინკალი, ანტრია (გათხელებული ცომი წყალში მოხარშული), ლოლო, შვინდის და ცერცვის საქამადი, კომბოსტოს წნილი.

ამ ბოლო დროს ხშირად დაუწყეს თესა კომბოსტოს და კარტოფილს. სამუდამო სასმელი ფშაველისა არის არაყი, სახატო—ლუდი, სარიგო და საქორწილო—კახური ღვინო.

### კაცის სახელები:

მაჩურა, ბუთხია, ხუჩია, ხუტია, დათვია, ნადირა, მირზა;—კარახელი, კურდღელა, პაპუა, მოკლია, ბუთლია, წიწილა, გოგოთური, ბაია, შალვა, უგონური, ჯავთარი, ნინია, ივანე, ვასილი, გიორგი, ყვირილა, ბარდანა, თეფშა, ბოიგარი, ხეხერა, გიგილა, ყაყიჩი, გოდერძი, იანვარა და სხვ.

### ქალის სახელები:

ქალთამზე, მზექალა, მზევინარი, თეთრუა, ჯავარა, თამარი, დედუნა, მეწყინა, ჩიტო, თინათინი, დარეჯანი, გულქანი, ქალიკმა, ლელა, მელანია, ანუკა, ფარანგოზი, ბატარქალი, ქალთათავი, თიკანი, სალია და სხვ.

### სოფლების სახელი:

ჩარგალი, ბოწახი, კაწალხევი, შუაფხო, გუდარახი, მაღარო, გომეწარი, თვალივი, მუქუ, ხომი, კუჭეჭა და სხვ.

### იარაღის სახელები:

**თოფი:** ხირიმი (საუკეთესო თოფი), შაშხანა, სიათა, ქოფაჩი, ერეჯიბი, ბაზალა, ხარა, ფრანგული, ჩარმა, მაჭარი, ხარა ხირიმი, ხოროსნის სიათა, აჭარა და სხვ. ფშაველი ძველ თოფს აღარაფერს ყურს-უგდებს, იმათში უფრო გავრცელებულია ახალის აგებულობის თოფები—ბერდანგები და პიბოდები (აინლები).

**ხმალი:** ფრანგული, გორდა, აჭარა, ხარის ფერცხალი და სხვ.

ვაჟა-ფშაველი

(შემდეგი იქნება)

---

*) სპიჩკა.

ლებს ხელს უწყობს და აქეზებს. მუხთარ-ფაშა ძალიან მოხერხებული დესპანი გამოდგა: თითქმის მთელის ეგვიპტის მაჰმადიანები ააჯანყა ინგლისელების წინააღმდეგ, არაბები დაარწმუნა, რომ იგი მაჰმადიანების უსჯულოების ხელიდამ გამოსახსნელად არის გამოგზავნილი ეგვიპტეში. ოსმალები ჰგრძნობენ, რომ ევროპაში ხანგრძლივი სიცოცხლე აღარა აქვთ, და ეხლა ცდილობენ სტამბოლის მაგიერ სხვა სატახტო ქალაქი იპოვონ. ჰფიქრობენ, რომ ქაირზე უკეთესი არა იქნება-რაო.

……

**საბერძნეთი.** თავადს ბისმარკს თავის ათინელის ელჩის პირით შეუთვლია მინისტრს დელიანისისათვის, რომ საბერძნეთმა შეიარაღება შეაყენოსო. დელიანისს შემოუთვლია, რომ ამ საქმის შეყენება ეხლა გვიანღაარაო, შეთოფ-იარაღებული ჯარების დაშლა ძნელიაო, ყველა ჩემი ცდა ტყუილი იქმნებაო, მარტო ხალხს აალელვებსო.

საბერძნეთი ყურს აღარავის უგდებს და შეუწყვეტლად ემზადება. არა საშუალებას არა ჰზოგავს ჯარის გასამლიერებლად. მაგალითად მთავრობას ბძანება გამოუცია, რომ არც ერთს საბერძნეთის ქვეშევრდომს, რომელსაც კი თოფ-იარაღის ტარება შეუძლიან, უცხოეთში წასასვლელი ბარათი არ მიეცესო. არც ხელობას, არც თანამდებობას, არც წლოვანობას ნუ მიჰხედავთო. მთელი საბერძნეთი ერთ-ხმივ თხოულობს, რომ ოსმალეთს უთუოდ ომი გამოუცხადოს. მინისტრთა რჩევას გარდაუწყვეტია ომის დაწყობა გაზაფხულის დამდეგს და ამიტომ განჩქარებული ემზადებიან. რკინის გზები განუწყვეტელ მოძრაობაში არიან: თესსალიაში და ალბანიაში ბლომა ჯარი გადმოჰყავთ.

……

**ინგლისი.** ლეისტერში არეულობის დროს, მუშები დაესხნენ თავს 12 ქარხანას და ჩალეწეს შიგ შუშები. თუმცა პოლიციაც იქ იყო და ჯარიცა, არეულობა მაინც საღამოზედაც არ შეწყდარაო. ბრბო ხალხიც ღელავდა და ეწინააღმდეგებოდა პოლიციას და ერთხელ კიდევაც შეეჭიდნენ ერთმანერთსაო. ერთის მხრითაც და მეორე მხრითაც ბევრნი დაიჭრნენ. ბოლოს ცხენოსანი ჯარიც მოიშველიეს მუშების დასაწყნარებლად. გაზეთები ამბობენ, რომ ლეისტერის მექარხნენი დათანხმებულან და ცოტა რამ დაუმატიათ მუშებისთვის. ლონდონში ძალიან ეფიქრებათ, რომ ვესტენდის უბანს კვლავ არ დაესხნენ მუშები და ამიტომ პოლიცია ფხიზლად ყარაულობს ამ უბანში.

ვესტენტის არეულობის მოთავენი სამართალში არიან მიცემულნი. აქამდე არ იციან ან ვინ არიან, ან რამდენნი არიან სამართალში მიცემული მეამბოხენიო, რადგანაც მთავრობას არ უნდა გამოაცხადოსო. ჯაროში მრავლად შეკრებილან მუშები, რომელთაც საშუშაო თურმე აღარა აქვთ. ამ კრებაზე ბევრი შეუწყნარებელი სიტყვა წარმოთქმულა, მაგრამ წესიერება არავის არ დაურღვევიაო.

……

# დეპეშა

12 ფებერვალი

**პეტერბურგი.** დღეს სამზღვარ გარეთიდამ პეტერბურგში მობძანდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე.

**ლონდონი.** კომისიამ დაწვრილებით გამოიკვლია ლონდონში მომხდარის არეულობის მიზეზი და შეადგინა ცალკე მოხსენება. კომისია ჰკიცხავს პოლიციას: წესიერებაზე ფხიზლად არა ხშერია თვალ-ყურიო და თხოულობს, რომ პოლიციის მოქმედება იქმნას გამოკვლეულიო.

**ბელგრადი.** შერიგების საქმე ისეთს ყოფაშია დღეს, რომ სერბიამ თავი დაანება საომარ იარაღის მომზადებას.

**სოფია.** სერბიამ რომ სთქვა, აღადგინეთ ის ყოფა, რომელიც 1885 წლის 14 ნოემბრამდე იყოვო, ამან ცუდად იმოქმედა აქაურებზე, რადგან იმ დროს სერბია და ბოლგარია ერთმანეთის მტრობაში იყვნენ. ბელგრაის მართებლობამ მისწერა და სთხოვა დესპანს ბუქარესტში, მოითხოვოს მან, რომ სრული ზავი ჩამოვარდეს, დიპლომატიური მიწერ-მოწერა განახლდეს და სერბიამ იარაღი აიყაროსო.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ = 478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ = 42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

**ფებერვალი** 28 დღით არის

11 დღე სამშაბათი. ღირსისა შიო მღვიმელისა, მოწ. ეპისკ. ვლასისა, სომ. წმ. სუქიასიანთი. კათ. ეფოზისისა და ლიუციხასი, მუსულმ. მე-20 დღე თთვისა ჯემად-ულ-ეველ 1303 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—13—32. ტფილისში მზე ამოდის 6—44, ჩადის 5—43. მთვარე ამოდის 11—28, და ჩადის 9—17.

12 დღე ოთხშაბათი. მელეტი არხიეპისკ. მოვლინება ივერიის მღვთის-მშობლის ხატისა. სომ. მარხვაა. კათ. ევლიალიისა და პეტრე ეპისკ. დაარსდა ქუთაისის გიმნაზია 1850 წ. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—23. ტფილისში მზე ამოდის 6—43; ჩადის 5—45. მთვარე ამოდის 12 ღ. ჩადის 10—4.

13 დღე ხუთშაბათი. წმ. მარტინესი. სომ. წმ. ვასკენთი. ხაჩატახაჭი. იორდანესი და ეკატერინესი. ჭეშმარიტი შუა დღე 12—13—13. ტფილისში მზე ამოდის 6—41; ჩადის 5—46. მთვარე ამოდის 12—29 ღ. ჩადის 10—34.

14 დღე პარასკევი. ღირ. ავქსენტია, კირილე ეპისკ. სომ. ტაძრად მოყვანა ქრისტესი—ტაძრის დარაჯი (მირქმა). კათ. ვალენტინა და ვიტალისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—3. ტფილისში მზე ამოდის 6—40; ჩადის 5—47. მთვარე ამოდის 1—27 ნღ. ჩადის 11—15.

15 დღე შაბათი. წმ. მოციქ. ონისიმესი, ღირ. ეფროსინესი. სომ. წმ. ისაკ პართელისა. კათ. ფაუსტინისა და იოვიტისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—12—53. ტფილისში მზე ამოდის 6—38; ჩადის 5—48. მთვარე ამოდის 2—21 ნღ. ჩადის 12—1.

16 დღე კვირა. წმ. მოწ. პამფილისა, ხორცით აღების-ღამე, დაწყება ყველიერისა. კათ. იულიანისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—12—43. ტფილისში მზე ამოდის 6—37. ჩადის 5—49. მთვარე ამოდის 3—11 ნღ. ჩადის 12—49.

უმაღლესი მანიფესტი საქართველოს შეერთებისა რუსეთთან, გამოცხადებული ტფილისის ქართულსა და სომხურს ეკკლესიებში 1801 წ.

17 დღე ორშაბათი. წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა, სომ. მარკოს ეპისკ., პიონი მღვდელ. და სხვ. კათოლ. დონატისა და თოდულისა. სომ წმ. მარკოზ ეპისკოპ. ჭეშმარიტი შუადღე 12—12—30. ტფილისში მზე ამოდის 6—35; ჩადის 5—50. მთვარე ამოდის 3—56 ნღ., ჩადის 1—38.

……

## გამოსადევი ცნობანი.

### მაზანდა.

1 თებერვლიდამ 1-ლ მარტამდე.

| | |
|---|---|
| რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ. | 5 კ. |
| ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა. | 2¼ , |
| „ „ 2 „ | 2 , |
| ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა | 4½ , |
| მე-2 ხარისხისა | 3 , |
| მე-3 — | 2½ , |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 , |
| 2 — | 7 , |
| ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი | 14 , |
| ცხვრის ხორცი | 8 , |
| ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ. | 6 , |
| 2-ის ხარისხ. | 5 , |

……

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

## მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
თაბუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. ,, — ,, დ.

### ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 წ. დ.

……

## მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

### ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 სალ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 სალ.

## განცხადებანი

გრ. ჩარკვიანის
ქართულის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
**ქილილა და დამანა**
თარგმანი მეფე ვახტანგისაგან
**ფასი სამი მანათი.**
3—1

17 თებერვალს, ორშაბათს დღეს **ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში** იქნება გამართული:

**ბალი**

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ.

მანდილოსანთ შეუძლიანთ დაესწრონ ბალს გულ-ამოუჭრელ კაბებითაც.

ბალი დაიწყობა ცხრა საათიდამ.

ბილეთების ფასი ორ-ორი მანათია.

ბილეთები ისყიდება შავერდოვის საგენტოში და «კრუჟოკის» შვეიცართან. (6—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

# „ივერია“

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც
ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

**ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 » | 9 » 50 | 5 » | 5 » 25 „ |
| 10 » | 8 » 75 » | 4 » | 4 » 75 „ |
| 9 » | 8 » — » | 3 » | 3 » 50 „ |
| 8 » | 7 » 25 » | 2 » | 2 » 75 „ |
| 7 » | 6 » 50 » | 1 » | 1 » 50 „ |

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება —17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
*Тифлисъ. Въ редакцію газеты*
*«ИВЕРІЯ.»*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 13 февраля, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.